ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1319161

ნომერი: AR1225395

თარიღი : 02.06.2014

გაცემის თარიღი : 09.06.2014

გაცნობის თარიღი : 09.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაღიძის (ყოფ. წულუკიძის) , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ აბულაძე პ/ნ 01008021793
- თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან შენობა ახალაშენებულია და გარკვეულწილად ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია, სამსახურს წარმოდგენილი სახით საჩრდილობლების მოწყობა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. წარმოსადგენია პროექტის ავტორის თანხმობადაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით ან სასურველია თვით ავტორის მიერ იყოს დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი რომელიც ერთიანობაში მოვა საერთო შენობის ვიზუალთან.
ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ უკვე გეცნობათ AR1221421 განცხადების განხილვის შედეგად №1291699 გადაწყვეტილებით.

გარდა ამისა:

– განახლებულ ფოტომონტაჟზე დეტალურად იქნას მითითებული გაბარიტული ზომები და მასალა.
– წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი . (თქვენს მიერ ატვირთულია არა ბინათმესაკუთრის , არამედ ბინათმშენებლობის ამხანაგობის კრების ოქმი. გაითვალისწინეთ, რომ აქვე გაითვალისწინეთ, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის, IV თავის, 11 მუხლის შესაბამისად, დაფუძვნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა).
– წარმოსადგენია ყველა იმ ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის ფასადსაც უშუალოდ ემიჯნება საპროექტო საჩრდილობლები და რომლის მესაკუთრეთა თანხმობებიც გაქვთ წარმოდგენილი.
– ასევე გაცნობებთ, რომ გაურკვეველია მოქალაქეების: ია ბიჭიკაშვილის, გივი აბრამიშვილის, ნინა ფხაკაძის, მედეა ადუაშვილის, ნარგიზი ბენიძის, გურანდა ჩვამანიას და ირაკლი ხარებავას მინდობილობების წარმოდგენა. საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის საჭიროებასთან დაკავშირებით დაფიქსირდეს მოთხოვნის შინაარსის ტექსტში.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.